ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

ზუგდიდი. 28 აპრილი 2014 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 101

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27^{1}–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, 27^{11}–ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის შესაბამისად:

1. განისაზღვროს და დამტკიცდეს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილებები თანდართული დანართის შესაბამისად;

2. კონტროლს განკარგულების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაიცული კოდექსის" 180–ე მუხლის I ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის"22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, მის. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.

ლევან შონია

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

2100. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზირი N45. ტელ.: 0 (415) 25 00 04, ფაქსი: 0 (415) 25 05 05.

„დამტკიცებულია“
სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის
2014 წლის 28 თებერვლის
N-101 განკარგულებით

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილებები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილებები შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების შესაბამისად, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ადმინისტრაციაში დასაქმებული საჯარო მოხელეებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საჯარო საქმიანობას;
2. სამსახურებრივი უფლებამოსილებების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციის მოსამსახურეების მიმართ გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 2. უფლებამოსილებების გადანაწილების მიზანი

1. უფლებამოსილებების გადანაწილების მიზანია:
   ა) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების ჯეროვანი შესრულების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა;
   ბ) საჯარო მოხლელეთათვის დაკისრებული სამსახურებრივი უფლებამოსილებების მოწესრიგება და კონტროლი.

თავი II. ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 3. საჯარო მოხელეებს მოეთხოვებათ

1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულებში (სამსახურებში) დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს მოეთხოვებათ, „სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების, „სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N143 დადგენილების, „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის 2014 წლის 28 თებერვლის N98 განკარგულებისა და წინამდებარე სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების უზრუნველყოფა.

თავი III. სამსახურებრივი უფლებამოსილებები

მუხლი 3. საჯარო მოხელეების სამსახურებრივი უფლებამოსილებები

1. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის უფროსი (აპარატის უფროსი, სამსახურის უფროსი) საქმიანობას წარმართავს ,,სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების მე-3 თავის მე-11 მუხლის შესაბამისად;
2. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის უფროსის მიერ თანამდებობრივ უფლებამოსილებათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას გუბერნატორის დავალებით, ასრულებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილე;
3. სხვა საჯარო მოხელეების ფუნქციები:

3.1. აკაკი სარალიძე - აპარატის უფროსის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი:
ა) საკადრო რესურსების მართვის მიზნით ადმინისტრაციის თანამშრომელთა დადგენილი წესით სამსახურში მიღებისას წარმოსადგენი დოკუმენტების გაცნობა, გადასინჯვა და მათი პირადი საქმეების შედგენა-წარმოება;
ბ) ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად პერსონალურ მონაცემთა ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება.

3.2. ეკა მგალობლიშვილი - მთავარი სპეციალისტი საბიუჯეტო და საბუღალტრო აღრიცხვის საკითხებში:
ა) ადმინისტრაციის საბიუჯეტო ასიგნებების პროექტის მომზადება;
ბ) საბუღალტრო აღრიცხვის წარმართვა და ხარჯთა ნუსხის შედგენა.

3.3. ნანა კაკაჩია - მთავარი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში:
ა) მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ე) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დავალებათა შესრულების კონტროლი.

3.4. ირმა ზარანდია - უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში:
ა) სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან გამართული თათბირებისა და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის საბჭოების, კომისიების, სამუშაო ჯგუფების სხდომების მომზადება და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
ბ) ადმინისტრაციაში შემოსული უცხოენოვანი წერილების, კორესპოდენციებისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების თარგმნა. ასევე თარჯიმნის ფუნქციის შესრულება.

3.5. მარიამ აბულაძე - უფროსი სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში:
ა) ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
ბ) ერთიანი საქმისწარმოების უზრუნველყოფა;
გ) სათანადო რეესტრის წარმოება.

3.6. მაკა ფიფია - მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში:
ა) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და ადმინისტრაციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულების კოორდინაცია და კონტროლი;

გ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენის მიზნით, საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი წინადადების მომზადება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის შესახებ;

ე) ,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების მე-10 მუხლის შესრულების უზრუნველსყოფა.

3.7. ნატალია პაპასკირი - მთავარი სპეციალისტი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში:

ა) საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა, ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

ბ) ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი და დელეგირებული უფლებამოსილებების მათ მიერ სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად განხორციელების სახელმწიფომ ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი რონისძიებების გატარება;

გ) ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის თანახმად განხორციელებული სახელმწიფო ზედამხედველობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" - ში.

3.8. მაკა თოლორდავა - უფროსი სპეციალისტი სციალურ საკითხებში:

ა) სამოქმედო ტერიტორიაზე სოციალური და ჯანდაცვის საკითხებში გუბერნატორისათვის სათანადო ინფორმაციის და რეკომენდაციების მომზადება.

3.9. მაკა ლაბანოვა - უფროსი სპეციალისტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში:

ა) საქართველოს მთავრობის დავალების ან შესაბამისი სამინისტროს მომართვის საფუძველზე ცალკეულ საკითხებზე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციების ორგანიზება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულისათვის - გუბერნატორისათვის სათანადო ინფორმაციისა და რეკომენდაციების მომზადება.

3.10. ნონა მინჯორაია - უფროსი სპეციალისტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის საკითხებში:

ა) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის, სხვა ხელმძღვანელი პირებისა და შესაბამისი ორგანოებისათვის წარდგენა.

3.11. ნინო პეტრიდისი - უფროსი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში:
ა) საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად რეგიონული განვითარების ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
ბ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და საზღვარგარეთის სახელმწიფოების რეგიონებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობათა განვითარების ხელშეწყობა.

3.12. ცირა ჯიქია - სპეციალისტი სპორტის საკითხებში:
ა) სამოქმედო ტერიტორიაზე სპორტის საკითხებში გუბერნატორისათვის სათანადო ინფორმაციის და რეკომენდაციების მომზადება.

3.1. ნუგზარ გაბელია - რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი:
ა) ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესრულების კოორდინაცია;
ბ) ინვესტიციების მოზიდვის, რეგიონალური განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა.

3.2. კახაბერ უბილავა - მთავარი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში:
ა) გუბერნატორისათვის დებულებით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამოქმედო ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზების უზრუნველყოფა;
ბ) სამოქმედო ტერიტორიაზე ეკონომიკური განვითარების სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.

3.3. იასონ შეროზია - მთავარი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში:
ა) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მიერ საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ;
ბ) საქართველოს მთავრობის დავალებით საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მელიორაციის სფეროში დაგეგმილი პროექტების ხელშეწყობა;
გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესრულების კოორდინაცია.

3.4. ლალი ჯანჯღავა - უფროსი სპეციალისტი კულტურის საკითხებში:
ა) საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად რეგიონული განვითარების ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საგარეო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;
გ) საქართველოს მთავრობის დავალებით კულტურისა და ისტორიული ძეგლების დაცვისა და სხვა ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
დ) სამოქმედო ტერიტორიაზე კულტურის განვითარების სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.

3.5. ნონა ნადარაია - სპეციალისტი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში:
ა) შესაბამის ინსტიტუტებსა და სპეციალისტებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მომზადება და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდება;
ბ) საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
გ) სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მოტხოვნის საფუძველზე ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ვეტერინარულ და მცენარეთა კარანტინის დაწესებისა და მოხსნის ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
დ) სამოქმედო ტერიტორიაზე სუფლის მეურნეობის განვითარების სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.

4. სტრუქტურული ერთეულის საჯარო მოხელე მისი უშუალო ხელმძღვანელის დავალებით უზრუნველყოფს სამსახურებრივი კორესპოდენციის მომზადებას და შესრულებას;
5. ადმინისტრაციის ყველა საჯარო მოხელე ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გუბერნატორის, გუბერნატორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიერ მიცემულ სხვა დავალებებს, რომელიც ამ განკარგულებით არ არის განსაზღვრული.

თავი IV. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 4. უფლებამოსილებებში ცვლილებების შეტანა

1. სამსახურებრივ უფლებამოსილებებს ანაწილებს და ამტკიცებს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. მოსამსახურე ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე უფლებამოსილებებს და აღნიშნული დაადასტუროს ხელმოწერით;
3. უფლებამოსილებების გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლევან შონია
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი